ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი

IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND
POLITICAL SCIENCES

№ 04/30 "28" 04 2015 წ.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება №4

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის N56/01–01 (17.04.2015) ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 26 მარტის სხდომაზე დამტკიცებული (ოქმი № 3, 26.03.2015) ფაკულტეტის სტუდენტთაგან (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) საუნივერსიტეტო დაფინანსებისთვის კანდიდატთა შერჩევის წესის საფუძველზე

ვბრძანებ

1. 2014–2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის საუნივერსიტეტო დაფინანსებიდან (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის გამოყოფილი თანხა (40 843 ლარი) გაიცეს ამავე ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთა სწავლის საფასურის დაფინანსებისთვის.

2. საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევა განხორციელდეს წინა სემესტრში სტუდენტთა აკადემიური შედეგებისა და შესრულებული მინიმუმ 30 კრედიტის, ხოლო ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სტუდენტებისთვის – მინიმუმ 27 კრედიტის საფუძველზე.

3. სტუდენტთა აკადემიური შედეგების საფაკულტეტო რეიტინგული მონაცემები (ყველა ჩაბარებულ საგანში მინიმუმ 81 ქულისა და მეტის საშუალო არითმეტიკული) დაანგარიშდეს 100 ქულიანი სისტემით.

ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge

ტელეფონი: +995 32 290594 Tel.
ფაქსი: +995 32 290594 Fax
ელ-ფოსტა: social@tsu.ge E-mail

4. 2014–2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დასაფინანსებელი თანხის ზუსტი პროცენტი, დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობისა და გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით, განისაზღვროს შემდეგი თანაფარდობით:

   ა)აკადემიური შედეგების 95–100 ქულის შემთხვევაში, დაფინანსება განხორციელდეს სწავლის სემესტრული გადასახადის (1406 ლარი დასაბეგრი თანხით) 64 %-ით, კერძოდ 900 ლარის ოდენობით;

   ბ).აკადემიური შედეგების 90–დან 95 ქულამდე შემთხვევაში, დაფინანსება განხორციელდეს სწავლის სემესტრული გადასახადის (1406 ლარი დასაბეგრი თანხით) 47,5 %–ით, კერძოდ 668 ლარის ოდენობით;

   გ).აკადემიური შედეგების 81–დან 90 ქულამდე შემთხვევაში, დაფინანსება განხორციელდეს სწავლის სემესტრული გადასახადის (1406 ლარი დასაბეგრი თანხით) 35 %–ით, კერძოდ 492 ლარის ოდენობით.

5. კანდიდატთა შერჩევა განახორციელოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 26 მარტის სხდომაზე (ოქმი № 3, 26.03.2015) დამტკიცებულმა კომისიამ.

6. დაფინანსება არ შეეხება სახელმწიფო სამაგისტრო გრანტის, ან სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი სხვა სახის დაფინანსების მქონე მაგისტრანტებს.

7. ფაკულტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა და თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.

8. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თ. დოლბაია